



დამოუკიდებელი
ინსპექტორის
სამსახური

დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 19 ივნისი

დისციპლინური საქმე №43/20
მოსამართლე --- --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- --- 2020 წლის 28 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის №---- წერილით მოსამართლე --- --- ეცნობა №--- საჩივრის შემოსვლის და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლე --- ---- მიერ მიღებული განჩინებების უკანონობაზე (19.05.2016; 20.04.2017; 16.01.2020; 16.01.2020).

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. --- --- სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის განჩინებით, საქმე №-- --, --- ---- საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

2.2. --- ---სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილის განჩინებით, საქმე №-- --, --- ----საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2.3. 2017 წლის 7 აგვისტოს --- --- სარჩელით მიმართა სასამართლო, მოპასუხის --- --- მიმართ, ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით (მესამე პირი - --- ---).

--- --- სასამართლოს 2018 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით --- --- სარჩელი დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

--- --- სასამართლოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით.

--- --- სასამართლოს 2020 წლის 16 იანვრის განჩინებით (საქმე №-- --) --- --- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2.4. 2018 წლის 22 იანვარს --- ---სარჩელით მიმართა --- --- სასამართლოს, მოპასუხის - --- --- მიმართ, აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალდებულების მოთხოვნით.

--- --- სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით --- --- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

--- --- სასამართლოს 2018 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და --- --- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით.

--- --- 2020 წლის 16 იანვრის განჩინებით (საქმე №-- --) --- --- საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

3.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსახლეობის მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორი არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს --- -- საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებს, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ პირობებს, იგი მიიჩნევა დაუშვებლად.

მოსამართლე --- --- 2020 წლის 16 იანვრის განჩინებების ((საქმე №-- --); (საქმე №-- --) მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. კონკრეტული საკითხის შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

3.2. რაც შეეხება საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ განჩინებებს (2016 წლის 19 მაისის განჩინება, საქმე №-- --; 2017 წლის 20 აპრილის განჩინება, საქმე №-- --).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75² მუხლის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან - 1 წელი.“

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული განჩინებები მოსამართლის მიერ მიღებულ იქნა 2016 წლის 19 მაისს და 2017 წლის 20 აპრილს, რის გამოც, დღეის მდგომარეობით, გასულია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადა ამოიწურა“.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხსენებული ნორმა წარმოადგენს მოსამართლის --- --- მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველს.

3.3. --- --- საჩივარში ასევე აღნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სასამართლომ იმსჯელა მის მიერ წარდგენილ საკასაციო საჩივრებზე და დაუშვებლად ცნო ისინი. როგორც საქმის მასალებით დასტურდება, კასატორის წარმომადგენლისათვის, --- ---, ცნობილი იყო 2020 წლის 16 იანვრის განჩინებების შესახებ, რაც დასტურდება მის მიერ წარდგენილი განცხადების შინაარსიდან.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

--- --- 2020 წლის 28 მაისის N°--- საჩივარზე მოსამართლე --- --- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი